ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 227
ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 1899 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 227
ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას 24 ოქ-ტომბერს.

**თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი და კნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილისა შვილებითურთ** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ სოფელ ხოვლეში, სადაც შაბათს, 23 ოქტომბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა საყვარელის მათის შვილისა

## მიხეილის

ტფილისის 2-რე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.
(1—167—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ნატ. გაბუნია ცაგარლის მონაწილეობით**, წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

## ფული და ხარისხი

კომედ. 3 მოქ., თხზ. ქ-ნის აზიანისა.

პირველი დებიუტი ანასტ. აბაშიძისა და ქ-ნ აბხაზიშვილისა

II

## მეფე და პოეტი

ისტორიული სურათი 1 მოქმედ., თხზ. ბანვილისა, თარგ. ს. ჭყონიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუღალტერო კურსები"

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლით და ორის თვით იქმნება და **ეღირება ასი მანეთი**.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

კურსებზედ ასწავლიან:

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გაუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.

(10—7)

კურსების გამგე **ა. მ. გიგინეიშვილი**

## ქართველ ქალთა სამკერვალო

**1** ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ მეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერნენ ჰრა კერვის კურსებზე.

**საჭიროა 8 მოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.**

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—13)

ქუთაისში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში, იყიდება დაკლებულ ფასად:

1) 2 ბამბის საწმენდი მანქანა („ჯინი") თავისის სატკეპნით (прессъ) და მოწყობილობით, ღირებული ერთი 336 მან. 54 კაპ. და მეორე 359 მან. 17 კაპ.

2) ერთი დიდი სალეწავი სპილენძის ქვაბი, ღირებული 47 მან. 50 კაპ.

3) 55 ტილოს ტომარა.

4) 6 სახვევი ძაფი.

5) 24 გირვანქა ბაწარი.

6) ერთი ხელში საჭერი დიდი ფარანი.

7) ორი ხელში დასაჭერი პატარა ფარანი.

8) საწონი.

9) კანტორის წიგნები.

10) 22 ექვს-არშინიანი პარკის საშრობი რეიკა.

11) 338 აბრეშუმის პარკის საშრობი რამები.

ყიდვის მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბუხგალტერს ი. ი. პურადოვს. (3—5.—3)

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—59)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—საქირურგო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბაბთაბეგოვი**—საფილისოსა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ჰუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ჰუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2—2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—Ѵ).

## ახალი ამბავი

*** დღეს, 21 ოქტომბერს, ქართულს თეატრში, ქართულის დრამატიულის დასის მიერ, ქ-ნ ნატ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, წარმოდგენა იქნება გამართული. ეს წარმოდგენა საინტერესო იმითია, რომ პირველად ითამაშებენ ქ-ნ აზიანის ახალ ორიგინალურ პიესას: „ფული და ხარისხი". ქ-ნმა აზიანისამ თვისი პირველი პიესით—„ინჟენერი და დოხტური" უკვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. როგორც ამბობენ, ეს მეორე პიესა ბევრადა სჯობს პირველს. ამას გარდა ამ წარმოდგენაზედ პირველად გამოვლენ სცენაზედ ახალი მსახიობნი-ქალნი ანასტ. აბაშიძე და აბხაზიშვილისა. „ფული და ხარისხის" გარდა ამ საღამოს წარმოდგენილი იქნება კიდევ ერთმოქმედებიანი სურათი „მეფე და პოეტი".

*** საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე 23 ოქტომბერს ტფილისიდგან ქ. სიღნაღში გაემგზავრება, საიდგანაც ამავე თვის 25 ს დაბრუნდება.

*** † ამ მოკლე დროში ბათუმში უეცრად გარდაცვლილა ლავრენტი ანტონის ძე ბერძენიშვილი, ერთი საუკეთესო ყმაწვილ კაცთაგანი. მისი წერილები ბათუმიდგან ხშირად იბეჭდებოდა „ივერიასა" „კვალსა" და „ცნობის ფურცელში", ერთი მისი ნაწარმოები „იმერული ტირილი" ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. განსვენებული დიდი მოყვარე იყო ქართულის მწერლობისა და ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებსაკ თავის შეძლებისა დაგვარად დახმარებას უწევდა.

*** მისის უდიდებულესობის იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა კანცელარიის მთავარ-მმართველის შუამდგომლობის გამო ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო, რომ ქალებმა პედაგოგიკა ასწავლონ იმპერატრიცას მარიამის საქალებო სასწავლებელთა უფროსს კლასებში.

*** 19 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა და „სასახლის ნომრებში" ჩამოხდა სამრევლო სკოლების მთავარი ზედამხედველი დ. ს. ს. ვ. ი. შემიაკინი.

*** ქალაქის საბჭოს სხდომა ხელმეორედ გადადებულ იქმნა 25 ოქტომბრისათვის.

*** 1-ლ ნოემბრიდგან დაიწყება ლექციების კითხვა საშუალო-სამოსწავლო კურსის საგნებისა. სრულის კურსის ლექციების მოსმენის მსურველნი უნდა ჩაეწერნენ და გარდაიხადონ 3 მან. პირველ ნახევარ წლისათვის (1-ლ იანვრამდე) 1-ლ საქალებო გიმნაზიაში, სადაც გამართული იქნება ლექციების კითხვა, 25-დგან 28 ოქტომბრამდე ყოველ დღე საღამოს 7 საათიდგან 9-მდე.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას ჯერ კიდევ არ გადაუცია ბრალმდებლისათვის ქ. ტფილისის უძრავ ქონებათა საბუთის ქალალდებში სიყალბის ჩადენის საქმე. როგორც ვუწყით, ამ ქაღალდებში ქალაქის საბჭოს ხმოსნის და დამფასებელ კომისიის წევრის თავ. ნ. ზ. თუმანოვის მამისა და დის სახელზედ ყალბად არის ჩაწერილი, ვითომ მათ ქალაქის რამდენიმე ადგილი ეკუთვნოდეთ. ეს დანაშაული გამგეობამ ბრალმდებელს შეატყობინა. ბრალმდებელმა

მოითხოვა გამგეობისაგან, მაჩვენეთ ვიზედ შევაქეთ ექიმი. როგორც „ტფ. ფ."-ს შეუტყვია, გამგეობას გამოძიება მოუხდენია და ჩვენება ჩამოურთმევია დამფასებელ კომისიის მოსამსახურე კაცთა და სამუთის ქაღალდების მმართველ კაცთათვის, მაგრამ ეს გამოძიება ბრალმდებელს ჯერ კიდევ არ მიუღია.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ შეატყობინა ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზას ნება მიეცა ტელეფონის მავთული გაიყვანოს სადგ. განჯასა და ყვირილას შუა.

*** სამეურნეო-სამოსწავლო გამოფენამ ამ დღეებში ხელის ნაწარმოებთა ნიმუშები მიიღო ფოთის სამეურნეო სასწავლებლისაგან.

*** ქალაქის გამგეობამ განიხილა ყველა კონცესიონერის წინადადებანი ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებ. შეადარა წინადადებანი უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნის რობის პირობებთან და სცნო, რომ რობის წინადადება ამ გზის წარმოების შესახებ ქალაქისათვის ბევრად უფრო ხელ-საყრელია, ვიდრე სხვა კონცესიონერთა წინადადებანიო.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ამ ჟამად კავკასიის უმაღლეს მთავრობას დამატებითი ცნობები წარუდგინა იმ სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომელსაც საზოგადოება გამართავს ტფილისში 1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეის სახსოვრად. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად განზრახვა აქვთ მოიწვიონ როგორც მთავრობისა, ისე კერძო დაწესებულებანი.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ყველა ბოქაულთ, დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთ იმ სახლის პატრონთა სიები, რომელთაც დღემდე ქვაფენილები არ გაუკეთებიათ თავიანთის სახლების წინაო.

*** 19 ოქტომბერს ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას: საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს საქმეთა განხილვამ დამანახვა, რომ ქალაქის საქმეთა გარდაწყვეტას, საბჭო თავის დროზედ არ ათავებს ან ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ან ქალაქის საბჭოს დარბაზიდგან სხდომის გათავებამდე ზოგიერთ ხმოსანთა წასვლის გამო. რადგან ეს გარემოება ცუდად მოქმედებს საქმეთა მსვლელობასა და ამასთან ერთად ქალაქის მეურნეობაზედ, ამის გამო გუბერნატორი სთხოვს ქალაქის მოურავს, ყოველი ღონის-ძიება იხმაროს ასეთის უწეს-რიგობის მოსასპობად, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, ქალაქის დებულების მე 60 და 61 მუხლები გამოიყენოს ხმოსანთა შესახებაო.

*** ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა მომავალ კრებაზედ, რომელსაც ქუთაისის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილება გამართავს, მიწვეულნი არიან ქუთაისის სახაზინო პალატის ოლქის ყველა ხარკის ამკრეფი ინსპექტორები იმ საგნების გამოსარკვევად, რომელთაც კავშირი აქვთ მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა ვაჭრობის განწეს-რიგების საქმესთან.

*** თოვლის მოსვლის გამო შეწყვეტილია მიმოსვლა ზეკარისა, ბათუმ-ახალციხისა, ბათუმ-არდაგანის უღელ-ტეხილებზედ.

*** სიღნაღის მაზრის უფროსს, როგორც ისმის, წარუდგენია ტფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის სიღნაღის მაზრის: ველისციხისა, ახალშენისა, ჩუმლაყისა და მუკუზანის სასოფლო საზოგადოებათა განაჩენი, რომლის ძალითაც მცხოვრებნი თხოულობენ, სამკურნალო დაგვიარსეთ სოფ. ველისციხეშიო. ამასთან მაზრის უფროსმა მოახსენა გუბერნიის მთავრობას: ამ სასოფლო საზოგადოებათ, რომელნიც ალაზნის ხეობაში, მეტად ციებიან ადგილში იმყოფებიან, მეტის-მეტად ესაჭიროებათ მუდმივი სამკურნალო დახმარება, მაგრამ რადგან ამ საზოგადოებათა მიერ გადადებული ფული საკმარისი არ არის სამკურნალოს შესანახად, ამის გამო მე ვთხოვე თელავის მაზრის უფროსს წინადადება მისცეს ველისციხის ორ მეზობელ სოფელს თელავის მაზრისას, რომ მათაც მონაწილეობა მიიღონ განზრახულ „სასოფლო სამკურნალოს შენახვაშიო. მაზრის უფროსის აზრით, სამკურნალოს შესანახად ყოველ წლივ გადასადები ფული სრულიადაც არ იქნება საძნელო ამ საზოგადოებათათვის, მით უმეტეს, რომ, როგორც თვით საზოგადოებათ განუცხადებიათ, ისინი ყოველ წლივ გაცილებით უფრო ბევრ ფულს თურმე უხდიან ხელში სამკურნალოდ ადგილობრივ ფერშლებს და მკითხავებს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის და მისის შტოების გასაუმჯობესებლად გზათა სამინისტრო, „სავაჭრო-სამრ. გაზ."-ის სიტყვით, სულ მოკლე ხანში შეუდგება შემდეგს სამუშაოებს: ზოგიერთ სადგურთა შენობის გადაკეთებას, სადგურებში წყლის საქმის გაუმჯობესებას, სადგომების აგებას, გზის ზოგიერთ ნაწილთა შეცვლას და ლიანდაგის ამაღლებას, ხიდების გაყვანას მტკვარსა და რიონზედ, ნაპირებისა და არხების გამაგრებას და სხ.

*** თუ სადმე ბავშვთა შრომას მფარველობა ესაჭიროება, ჩვენს ქალაქში შეიძლება ყველაზედ უფრო ესაჭიროებოდეს. ვისაც აქაურ სხვა-და-სხვა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში: ქარხნებში, დუქნებში, სტამბებში და სხ. ბავშვების შრომისათვის თვალ-ყური უდევნებია, ის გაზვიადებულად არ მიიჩნევს ამ აზრს. ამ ხელად მაგალითად შეგვიძლიან დავასახელოთ ერთი სარძეო დუქანი, რომელიც ტფილისში ყველაზედ უფრო ცნობილია და რომელმაც გვაიძულა ამ სტრიქონების დაწერა. ხსენებულ სარძეოში, რომელიც სამ ოთახს შეიცავს და ხშირად გავსებულია ხალხით, თითმის ხოლოდ ორი, ხშირად-კი მარტო ერთი, 12—13-ოდე წლის ბავშვი ემსახურება ყველას დილის 6 საათიდგან მოკიდებული ნაშუღამევის 1—2 საათამდე, ასე რომ მთელის დღე-და ღამის განმავლობაში 4—5 საათს გარდა, ეს ბავშვები თითქმის განუწყვეტლივ ციბრუტივით ტრიალებენ და მოქანცულ სახეზედ ჭირის ოფლი გადასდით. მათი მდგომარეობა მით უფრო აუტანელია, რომ გამუდმებულ უაზრო ტრიალ-ბზრიალით გონებადაფანტულნი მუშტრებს ხეირიანად ვეღარ ემსახურებიან და ამის გამო ეს უკანასკნელნი მრისხანე წყრომა-მუქარით საცოდავ ბალღებს ძალიან ხშირად გულს უხეთქენ. სულ მთელ დღე და ღამეში ბავშვებს დასაძინებლად (რასაკვირველია მხოლოდ დასაძინებლად და არა სათამაშოდ!) მიცემული აქვთ 4—5½ საათი (ნახევარი საათი დილით შეუძლიანთ დაიძინონ, მაგრამ ნახევარ საათს ხომ ვერც-კი მოასწრებენ დაძინებას), და ასე ცოტა ხნიანად 12—13-ოდე წლის ბავშვებს, რომელთათვისაც სულ მცირე 9 საათის ძილია აუცილებლად საჭირო. ამასთან მათთვის არ არსებობს დასვენება არც კვირა-უქმე დღეებში, პირ-იქით ასეთ დღეებში მეტსაც მუშაობენ და ასე იტანჯებიან ყოველ დღე და ღამ არა მარტო ხსენებული ბავშვები, არამედ მრავალი სხვა მათსავით „უდანაშაულოდ დასჯილი" პაწია არსებანი მრავალგან ჩვენს ქალაქში. ნუ თუ საჭირო არ არის ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, ასეთ საზიზღარ ექსპლოატაციას.

*** პეტრე პავლეს ეკკლესიის სამზრუნველომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, გზა გამოუყვანეთ ახალ სამების შენობიდგან პეტრე პავლეს ეკკლესიისაკენ და გზა-ტკეცილად გადააკეთეთ ის გზა, რომელიც აკლდამას პეტრე პავლეს ეკკლესიასთან აერთებსო.

*** 24 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს „ტფ. ფ."-ის რედაქტორის ბ-ნის სხარტუროვის და იმავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნის მახაძოვის საქმეს, რომელთაც თერგის ოლქის საერო სასწავლებელთა დირექტორი გრუშევსკი იმ ბრალსა სდებს, რომ გაზეთის მეშვეობით ცილი დასწამესო.

*** ახნ. თომა დავითაიამ პოლიციას განუცხადა, რომ მისთვის 15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ქ. ბათუმში „ევროპის" სასტუმროში მოუპარავთ 1,625 მან., რომელიც მას და მის ამხანაგს ანტონ ბახტაძეს ეკუთვნოდაო. ქურდობა ჩაუდენიათ ალ. ხელაიას და იას. ფირცხალავას. ამას გარდა პოლიციის ნაწილის ზედამხედველის გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ქურდობაში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე პ. ჟუკოვსკის და ე. ლორიას. ლორია და ხელაია უკვე შეუპყრიათ.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს, განკარგულება მოახდინეთ, რომ კახეთის ქუჩა შეკეთებულ იქმნასო.

## წერილი ფშავ-ხევსურიდგან.

როგორც ჩვენმა მკითხველმა საზოგადოება უწყის, მე წარსულ წელს ვჩიოდი ფშავ ხევსურეთის ჩამორჩენას სწავლა-განვითარებით, ვემდურებოდი ჩვენს მოწინავე დასებს და საზოგადოებათა, რომლებსაც ერთიბეწო ყურადღებაც არა აქვთ მიქცეული ამ კუთხისთვის. იმავე დროს ვემადლიერებოდი ყოვლად პატივცემულს კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას, რომელიც ერთად ერთი იღვწის ჩვენის დაწინაურებისა და განვითარებისთვის. ეს საზოგადოებაა, რომელმაც 1890 წელს ბარისახოში (ხევსურეთში) სამრევლო ერთკლასიანი სკოლა დააარსა. წელს იგივე სკოლა შეკეთებულ და შელესილ იქმნა იმავე საზოგადოების ხარჯით; ამ სკოლის თავშესაფარში ამ წლის ენკენისთვიდგან ათი მოწაფე შეინახება იმავე საზოგადოების ხარჯით; მისსავე მეოხებით სოფ. ახილში (ხევსურეთშია) წერა-კითხვის სკოლა დაარსდა. 8 ოქტომბერს უკანასკნელად დათვალიერებულ იქმნა ამავე საზოგადოების სასოფლო სკოლების ინსპექტორის ექვთიმე მამინაიშვილის მიერ აგებული შუაფხო-მაღაროს კარის (ფშავშია) სკოლა, რომელსაც წელსვე გადასცემს ასაშენებლად. აქედან პატივცემულმა ინსპექტორმა გასინჯა ბარისახოში შეკეთებული შენობა სასწავლებლისა და ახლად ახალი ევროპიულად გაწყობილი მღვდლის სახლი, რომელიც სკოლასთან ერთად კარგად ჰმოქმედებს არაგვის ხეობაში მოგზაურზედ. უფრო სადმო იქნება იგი მაშინ, როდესაც ამ შენობებთან ერთად ბარისახოში დამთავრდება საყდარი, რომელსაც ეხლა იქ იგივე ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება აშენებს.

ბ-ნი მამინაიშვილი ბარისახოდან

# ფელეტონი

## ორი სამრეწველო გამოფენა პეტერბურგში

(შემდეგი *)

სარძეო მრეწველობა კავკასიაში, ბ-ნ გ. მადინოვის სიტყვით, მე 60 წ. იწყება განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში. რამდენადაც ვიცით, პირველი კერძო პიონერი შვეიცარიული ყველის მრეწველობაში ნემენცი კუჩენბახი და გ. ახვლედიანი არის. ახლა-კი იმათი რიცხვი ტფილისის გარშემო მრავალია. დღეს მისი ბუდე ნემცების ახალშენებია სხვა-და-სხვა ადგილებში. ალექსანდერსგილფი, ვარანცოვკა, ბორჩალოს მაზრაში ყარაბულახი, კამარლუ, პეტროვსკი—ყარსის მახლობლად და სხ. წარმოადგენს შვეიცარიულ ყველის სამრეწველო ადგილებს. ქუთაისის გუბერნიაში მისს მწარმოებელს ვერ ვხვდებით, უეჭველია მიზეზი ამისა ისაა, რომ აქ მსხვილის პირუტყვის ჯოგი ნაკლებია საბალახოების სიმცირის გამო. სვანეთსა და ოსეთში-კი, რომელთა მეურნეობის დედა ღერძს მეყველეობა შეადგენს, რადგან იქ საბალახოები გაცილებით სჭარბობს სახნავ მიწებს და ამისათვის პირუტყვის მოშენებას დიდი ადგილი უჭირავს იქაურ მკვიდრთა ცხოვრებაში, მეყველეობის პირველ-ყოფილ ნიადაგზეა დაყენებული. კავკასიის ყველებში ოსური ყველაზე უფრო განთქმულია და იმას ყოველ ბაზარში შეხვდებით. მხოლოდ იგი, როგორც ყველა ადგილობრივი ყველი, პირველ-ყოფილის საშუალებით კეთდება და მის მრეწველობას ჯერ გაუმჯობესებული იარაღი და მცოდნე ხელი არ მიჰკარებია. ამ გვარსავე მდგომარეობაშია შესანიშნავი თუშურ და მეგრულ ყველის მრეწველობა, რომელთაც საკმარისი ბაზარი აქვთ ადგილობრივ. შორს მათი გადატანა მოუხერხებელია, განსაკუთრებით მეგრულ-იმერულ ყველებისა, რადგან მათი ნახელობა ამას არ იტანს.

ამისდა მიუხედავად როცა წარსულ წელს სამინისტრომ სურვილი გამოაცხადა სვანეთში სამინისტრო სკოლასთან სარძე განყოფილების დაარსებისა და იმის შესახებ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებას დაეკითხა, მან თავისის წარმომადგენლის ბ. ს. ხოჯაევის რეალურ ნიადაგს მოკლებულ მოხსენების წყალობით, გულგრილად მიიღო ასეთი წინადადება. ბ-ნი ხოჯაევი თავის მოხსენებაში სვანეთის შესახებ იმასაც-კი ამტკიცებდა, რომ იქ ჯერ საძოვრების კულტურისა და პირუტყვის მოშენების გაუმჯობესობას უნდა ვცადოთ და მერე სარძეო სკოლები დავაარსოთო. აი სწორედ ამას ჰქვიან ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის ერთის თვალის გადავლებით შესწავლა და მისი სიავ-კარგის და გვარათ მისი იარების დაშორშმინება!.. იმას მაშინ უგზოობაც თავისს აზრის დასასაბუთებლად მოჰყავდა და თუმცა ეს მართალია, მაგრამ ეხლანდელ მდგომარეობაშიაც ხომ გვარიან ბაზარს ჰპოულობს ჩვენში სვანური და ოსური ყველი და მისის ტეხნიკის გაუმჯობესების შემდეგ, ეჭვი არაა, კიდევ უფრო გაფართოვდება. არ ვიცით ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების წყალობით ამ წინადადებას რა ბედი ეწია და ახლა, როცა ბ. ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა მოხელეს ბ-ნს ვუჩინოს სამინისტროში უკვე შეჰპირებიან სვანეთისაკენ გზების გაყვანას, უადგილო არ იქნებოდა ქუთათურებს მოეგონებინათ სამინისტროსათვის სურვილი სვანეთში სარძეო სკოლის დაარსების შესახებ. როგორც სთქვა ბ-ნმა ვ. კოვალევსკიმ ამ მოკლე ხანში აწინდელ კრების გამო სამინისტროში სხდომა დაიწყობა სარძეო საქმეების შესახებ და ამ კითხვების აღძვრაც დროიანი იქნება.

რაც შეეხება ქუთაისის სამეურნეო სკოლის ბედ-იღბლის მტრიალებელთა აზრს მისთვის გაუმჯობესებული უცხო ჯიშის ძროხებისა და ბულიების გამოწერის შესახებ რათა აქ სარძეო მეურნეობასაც ასწავლიდნენ, —იგი შემცდარ აზრათ მიგვაჩნია. უპირველესად უნდა შევიტყოთ, იმერეთის მეურნეობა, რომლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც ამ სკოლის მფარველთ აქვთ სახეში, ჰსაჭიროებს თუ არა დღეს მერძევეობის მცოდნეთ? აქვთ თუ არა პირუტყვის მოსაშენებელი ადგილი იქ, სადაც ერთის ძროხის მოზიარე ზოგან 4—5 მოსახლეა და სადაც ერთი მტკაველი მიწის გამო ასე ხშირად ღვრება ადამიანთა სისხლი?! მესამე, ამასაც რომ თავი დავანებოთ და დავეთანხმოთ იმათ აზრს, რომ ეს სასწავლებელი მარტო იმერეთს არ უმზადებს მეურნეობასო, —განა შეიძლება ერთს დაბალ სასწავლებელში მეურნეობის ყოველგვარი დარგის რიგიანად სწავლება?! როგორც ვიცით, ეს სასწავლებელი მის სულის ჩამდგმელის (?) ბ-ნ კურნალის წყალობით ყოლიფერს ხელს ჰკიდებს, მეურნეობის ყოველგვარ დარგის საცდელ სადგურად უნდა გადააქციოს და ამდენი ხანი ვერ შეჩერდა იმერეთისათვის უფრო საჭირო დარგზედ, თუნდაც

*) იხ. „ივერია" № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემგზავრა ს. ღულს, საიდგანაც ეხლა შატილს და მითხოში აპირებს წასვლას. როგორც შევიტყეთ, მის იქითკენ მგზავრობას სკოლების დაარსებავე ჰქონია აზრად: ღულში დაუპირებია დააარსოს წერა-კითხვის სკოლა, შატილს ხევსურების და მითხოელ ქისტებისთვის კიდევ საერთო ერთკლასიანი სასოფლო სამრევლო სასწავლებელი. წმინდა განზრახვა ჰქონია, ღმერთმა წმინდად შეასრულებინოს. ვიმედოვნებთ კი, რომ ამ საზოგადო სასარგებლო და სასიამოვნო საქმეს ბოლოსაც მისცემს, როგორც მხნე და ქვეყნის სიკეთისათვის გულშემატკივარი კაცი და მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებაც მხურვალედ ხელს შეუწყობს ჩვეულებრივ. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ამ საზოგადო მოღვაწე კაცის განზრახვით ჩვენი ახალი მაზრის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილიც მშობლიური მზრუნველობით თანაუგრძნობს და მის ყოველ კეთილ-დაწყობილებას შესაძლებელ შემწეობას აღმოუჩენს.

მთიულები დიდი ხანია ვიცნობთ ჩვენს უფროსს, როგორც უწინაც აქ ჩვენს მეუფროსედ ნამყოფს, რომელსაც ყველაზედ უმეტეს გული შესტკიოდა ჩვენს სიღატაკესა და უვიცობაზედ და არა ჩვეულებრივ შემწეობასაც აძლევდა ერთსაცა და მეორესაც. კარგა და კარგა ხანია, რაც დაგვშორდა და მისი ხელი აღარ გარეულა ჩვენს ავ კარგში. წელს-კი ისევ ვეღირსეთ მის ნახვას და ისევ აგვიფრთოვანდა ძველი იმედები; ვსასოებთ, რომ ჩვენში ამიერიდან ყოველ კეთილ საქმეს და დაწყობილებას უუახლოვესი მფარველი და მზრუნველი ეყოლება.

იკაური.

## წერილი ოსეთიდან

(კავკავის მაზრა)

ენკენისთვის პირველს ოცდახუთამდე ცხენი გარეკეს რუსების ფარეხებიდგან ხერქეზების მხარეს. იმავე თვის შვიდს, სოფ. ყადგარონის ზევით, ტყისმცველებთან ახლო ურმები გამოუშვეს და ღამე უნდა გაეთიათ. ღამით მეურმეებს დაესხნენ თავს ავაზაკები, მოჰკლეს საბრალო ბუღოევი და ოთხი ცხენი გაირეკეს. მეორე დღეს იმ ალაგას ბილეთი იპოვნეს, რომელიც ავაზაკს ქისტს დაკარგნოდა. ბილეთით აღმოჩნდა, რომ ქისტი სოფ. დახვლეჯაოთელი იყო და შეიპყრეს. ამის მეორე ღამეს სოფ. გიზელდელს, რომელთაც ტყიდგან შეშა მოჰქონდათ, დაუხვდნენ ქისტები, წაართვეს ცხენები, დახადეს ტანისამოსი და გაუდგნენ გზას. თერთმეტ სექტემბერს საღამოს დაუხვდნენ ქურთაულის ხეობაში ორის ურმით მომავალთ, ცხენებიც წაართვეს და რაც რამ ჰქონდათ, ყველაფერი. ცამეტს ამავე ალაგას გაძარცვეს ერთი ხიდიუუსელი ოსი. ოც-და-ხუთს სოფელ სალბუგათში საბრალო დროებით მცხოვრებ ქართველებს დაესხნენ; ორი კამეჩი, ორი ძროხა და ერთი ცხენი მოსტაცეს. სოფ. ყაყადურში მოჰკლეს ერთი ღამის მცველი და გაიქცნენ. ზმეისკის სტანიცის ახლო დაეცნენ ფარეხებს და რამდენიმე ხარი გარეკეს. ოც-და-ექვსს სოფელს სინძიყავს ღამის დარაჯი თითხალოვი მოჰკლეს. ოც-და-შვიდს ხუმელაგელ მეცხვარეებს ფარეხებში დაეცნენ თავს. აქ-კი ბედმა უმტყუნათ ავაზაკებს: მეცხვარეებმა ორი ქისტი მოჰკლეს; ერთი მკვდარი თანვე გაიტაცეს ავაზაკებმა და მეორე კი იქვე დარჩათ. ოც-და ათს ნიკოლაევსკის სტანიცაში შეეპარნენ ერთს ყაზახს; ყაზახმა გაუგო, ესროლა თოფი და ერთი ქისტი მოჰკლა. ქურდებმა თავადაც დაუშინეს ყაზახს თოფები, მერე გაიტაცეს მოკლული ამხანაგი და გაიქცნენ.

—

სოფელ ხიდაკელ გუტიევის ქალი ჰყავდა ნათხოვნი ხიდიყუსში დულაევს. ეს ქალი სოფ. ბესლანელმა კაცმა მოიტაცა. ამაზედ დულაევები მთელი გვარი ძლიერ აღელდა. „ჩვენი სიცოცხლე რაღად ჰღირს, რომ ნათხოვნი რძალი სხვამ მოგვტაცოსო". ამის გამოისობით ცხრა ენკენისთვეს, როცა ქალის მამა გუტიევი ბარად მიდიოდა თავისის ძმებითა და შვილებით, დაუხვდნენ გზაში დულაევები და აუტეხეს ჩხუბი. დულაევები თხოულობდნენ ჩვენი დანიშნული რძალი მოგვგვარეთო, თორემ არ გაგიშვებთო. თუმცა ორის საზოგადოების მამასახლისებიც მოვიდნენ დასაშველებლად, მაგრამ მაინც დულაევები არ დამშვიდდნენ: დაერივნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს კეტებით და ქვებით; ზოგს ხელი და ზოგს თავი გაუტეხეს და ერთს მამასახლისსაცკი მიარტყეს. სიკვდილით არავინ მომკვდარა, მაგრამ მძიმედ დაჭრილი ბევრია. ამ საქმის გამო მოვიდა მაზრის უფროსი და გამომძიებელი ყაზახებით. დულაევები ოცამდე კაცი მეტი შეიპყრეს და კავკავში წაიყვანეს.

ქართველი ოსეთში

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** აქამდის ინგლისის მთავრობას სხვანი უჩიოდნენ, ომის შესახებ ნამდვილ ამბებს არ აქვეყნებსო, ეხლა-კი, როგორც გაზეთები იუწყებიან, უკმაყოფილებას ამის გამო თვით ინგლისელნი, ასე გასინჯეთ, მთავრობის მომხრენიც-კი, აცხადებენ. ლონდონში ყოველის მხრით გაისმის თურმე, რომ მთავრობა სამხრეთ აფრიკიდგან მოსულ იმ დეპეშებს აცხადებს მარტო, რომელნიც ინგლისელთა გამარჯვებას და ბურების დამარცხებას იუწყება, დანარჩენებს-კი საიდუმლოდ ინახავსო. ამის გამო ევროპაში ინგლისის მთავრობის მიერ ომის შესახებ გამოქვეყნებული ამბები ეხლა ნაკლებად სჯერათ, იმ დეპეშებს ხომ, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენმა ჯარმა დაამარცხა და უკუაქცია ბურები, პირდაპირ ტყუილად სთვლიან. ასე თუ ისე, გაზეთებს სამწუხაროდ მიაჩნიათ, რომ სამხრეთ აფრიკიდგან ნამდვილ ამბებს ვერ იგებენ და ნება უნებურად იმას უნდა დასჯერდნენ, რასაც თვით ინგლისი იუწყება.

— გაზეთები ერთ-ხმად აცხადებენ, რომ სამხრეთ-აფრიკაში ჯერ-ჯერობით ბურების საქმე უკეთ მიდის, ვიდრე ინგლისელებისა. ბურებს აზრადა აქვთ აიღონ ქალაქი ლედი-სმიტი და დურბანს მიადგნენ, სადაც ინგლისელებმა ევროპიდგან გაგზავნილი ჯარი უნდა გადასხას. ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად ბურების მთავარ-სარდალმა თავისი ჯარი ერთის კვირის წინად ორ ნაწილად გაჰყო: ერთი ნაწილი პირდაპირ ლედი-სმიტისაკენ გაემართა, მეორე, გენერალის ლუკას მეიერის უფროსობით გლენკეს მიადგა, საიდგანაც ორანჟის რესპუბლიკის ჯართან ერთად ამ ქალაქში დაბანაკებული ინგლისელები უნდა გაერეკა და შემდეგ პირველს ნაწილს შეერთებოდა. ამ რიგად პირველი ბრძოლა გლენკესთან იყო განზრახული. როგორც ვუწყით გლენკესთან ორი ბრძოლა მოხდა, პირველი მარტო ტრანსვაალის ბურებისა და გენერალ საიმონსის შორის, ხოლო მეორე ტრანსვაალის და ორანჟის ბურებსა და გენერალ იულის შორის. პირველი ბრძოლა ცხარე იყო, ინგლისელებმა მრავალი აფიცერი და ჯარის-კაცი დაჰკარგეს. ბურებმა თუმცა უკან დაიწიეს, მაგრამ მარტო იმიტომ, რომ ორანჟესთან შეერთებულიყვნენ და ერთად მისცემოდნენ საიმონსის ჯარს. ამ ბრძოლის გამო გაიძახდნენ ინგლისელნი, — გავიმარჯვეთო. მაგრამ რამდენად ძლიერი იყო ეს გამარჯვება, იქიდგანა სჩანს, რომ მეორე დღეს საიმონსის მოადგილე გენერალი იული ვეღარ გაუმაგრდა ბურებს. ამ იულმა თავი მიანება დაჭრილებს და ჯარით ლედი-სმიტისაკენ მოუსვა ამ რიგად გლენკეც ბურებს დარჩათ. ამ ჟამად ინგლისის ჯარი ლედი-სმიტშია შეკეტილი. ბურებმა მთელი თავიანთი ჯარი შეაერთეს და ლედი-სმიტს შემოარტყეს. ბურებს ამ ქალაქის გარეშემო 18 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავთ, იქავეა ბურების მთავარ-სარდალი ჟუბერი და პრეზიდენტი კრიუგერი. ინგლისელების ხელქვეით-კი ლედი-სმიტში მხოლოდ 10 ათასი კაცია. აი ასეთია ამ ჟამად საქმის ვითარება სამხრეთ აფრიკაში. დეპეშები იუწყებიან, ბურებს უკვე დაუშენიათ ყუმბარები ქალაქისათვის.

— როგორც ეხლა აღმოჩნდა ტრანსვაალში მაჰმადიანთა ახალშენიც ყოფილა. სულ ტრანსვაალში მყოფ მაჰმადიანთა რიცხვი 10 ათასამდე იქნება. ამას წინად ტრანსვაალის მაჰმადიანნი შეეკითხნენ ოსმალეთის სულთანს, როგორ მოიქცეთ და ვის მიემხროთ ინგლის-ტრანსვაალის ომშიო? სულთანს ამ გვარი პასუხი შეუთვლია: ყველა მაჰმადიანი ვალდებულია სიკეთე გადაუხადოს იმას, ვისგანაც თვით მიუღია სიკეთე. ამიტომ თქვენც იმის მხარი დაიჭირეთ, ვისგანაც სიკეთე გახსოვთო. ამ პასუხის მიღებისათანავე მაჰმადიანებს დაუდგენიათ, შეადგინონ ერთი ძლიერი რაზმი და ბურებს მიაშველონ. როგორც ამბობენ, ეს რაზმი უკვე მზად არის და ამ დღეებში შეუერთდება ბურების ჯარს. ეს კიდევ არაფერი; ამ მაჰმადიანების მიერ გაგზავნილი კაცები ინდოეთისა, ეგვიპტისა, ჩრდილოეთ აფრიკისა და სხვაგანაც შესდგომიან თავისუფალ მეომართა რაზმების შედგენას. ამბობენ, რომ იმათისავე მეცადინეობით, კიჩინერის მიერ დამარცხებული მაჰდისტებიც იკრიბებიან და ინგლისის წინააღმდეგ საომრად ემზადებიანო. თუ ეს გამართლდა, მაშინ ინგლისს ხართუმისაკენაც მოუხდება კარგა ძლიერის ჯარის გაგზავნა.

— „Daily Mail"-ს დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდგან, რომ ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოებმა ერთმანეთ შორის უკვე კავშირი დასდვეს. ამ კავშირს აზრადა ისა აქვს, რომ ტრანსვაალის საქმეში ჩაერიონ და ინგლისს ტრანსვალ ორანჟის მისაკუთრებაზედ ხელი აღებინონ. ჯერ სახელმწიფონი წინადადებას მისცემენ ინგლისს ტრანსვაალთან საქმე სამედიატორო სასამართლოს შემწეობით გაათავოს. თუ ინგლისმა არ შეიწყნარა ეს წინადადება, შეიძლება ომიც გამოუცხადონო. სხვა გაზეთები უმატებენ, რომ ინგლისმა კარგა ხანია გაიგო ევროპის სახელმწიფოთა განზრახვა და შეუდგა ფლოტისა და ჯარის მზადებასაო.

**ავსტრია.** დროებით მიწყნარებული ავსტრიის პარლამენტი ხელ-ახლა მუშტი-კრივის მოედნად გარდაიქცა. ახალის სამინისტროს მიერ ენათა განკარგულების გაუქმების გამო იწვავე დაუსრულებელმა ბრძოლამ ავსტრიის ნემეცებისა და ჩეხებს შორის უფრო ძლიერად იჩინა თავი. როგორც ვუწყით ამ განკარგულების ძალით ჩეხიასა და მორავიაში ჩეხურ ენას ისეთივე უფლება ჰქონდა მინიჭებული, როგორიც საზოგადოდ მთელს ავსტრიაში ნემეცურს ენასა აქვს. აი, სწორედ ეს განკარგულება გააუქმა ახალმა სამინისტრომ. ვიდრე იგი ძალაში იყო, ნემეცები იკლავდნენ თავს და ობსტრუქციას უმართავდნენ მთავრობას, ეხლა კი ჩეხებმა მიჰყვეს ხელი ობსტრუქციას. ამ განკარგულების გაუქმებამ მთელს ბოჰემიასა და მორავიაში არეულობანი და მანიფესტაციები გამოიწვია. მანიფესტაციები მოხდა თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში. პოლიციამ ვერაფერი გააწყო ჩეხების წინააღმდეგ და მშვიდობიანობა ვერ ჩამოაგდო. იუწყებიან, რომ მარტო მორავიაში პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულ

---

მ.გ., მეველეობაზედ საჭიროა ამ გულუბრყვილო მეურნეს ამ გვარის მოქმედების ნიადაგი გამოეცალოს, სოლამ ამდენიხნის განსაცდელისაგან თავი დაიღწიოს და ერთი რაიმე ტიპიური სახე მიიღოს, თორემ ასეთ რყევაში ვერაფერი მომავალი მოელის...

ქუთაისის გუბერნიაში თუ სადმე ადგილი აქვს მსხვილი და აგრეთვე წვრილი (ცხვრისა და თხის) პირუტყვის მოშენებას, — ეს ისევ სვანეთში, რაჭის ოსეთში, ჯაჯარის ხეობაში, შაორზედ, გლოლაში, ღებში, (რაჭაშია), ზედა-აჭარაში, სამეგრელოს მთაგორიან ნაწილებში, ბახმარო და რომლიაზე (გურიაში), კვაზვინევში, რკინის ჯვარში და საცამნეში (შორაპნის მაზრა.) და ლეჩხუმში — ასხზე და ხვამლზე. ამ ადგილებში მუდამ აუარებელი ჯოგი ჰყავთ განსაკუთრებით მეგრელებს, რომელნიც ბ-ნ ნაკაშიძის სიტყვით [1]) სულ მინდვრად და ტყეში აძოვებენ პირუტყვებს და ბუდიან სულზედ (მსხვილ საქონელში) 1 მ. და წვრილში 25—30 კ. რაც შეეხება საკუთრივ ქუთაისის, შორაპნის, სენაკისა, ოზურგეთისა და რაჭის მომეტებულ ნაწილს, — აქ ან სულ არ ჰყავთ მეწველი პირუტყვი, ან ვისაც ჰყავს, დიდის გაჭირვებით ინახავს მიწების სივიწროვის გამო. ამიტომ აქაური მეწველეობა ძალიან ნაკლებია სხვა მხარეებთან შედარებით. ყველით კი ადგილობრივი მკვიდრი თვისს მცირე მოთხოვნილებასაც თუ იკმაყოფილებს და იშვიათად ასში 2—3 ოჯახი თუ გაიტანს ქალაქში თითო თვეობით ხალამში თავნაყარს. ამ მხრივ ქუთაისისა, ფოთისა, ბათუმისა და ზოგიერთ სხვა ბაზრებსაც მეგრული სულგუნი და ოსურ-სვანური ყველი აკმაყოფილებს.

მთელს გუბერნიაში, ერთის პ. წულუკიძის გარდა, რომლის მეურნეობა ქუთაისიდგან შვიდი ვერსის მანძილზედ სოფელ კვახჭირშია და რომელიც ჯერ მხოლოდ რძეს აწვდის ამ ქალაქს, — გაუმჯობესებულ მეყველეობას ჯერ არავინ ეწევა, თუმცა ამ მრეწველობისათვის ნიადაგი აქაც ისე საკმარისია, როგორც მიყრუებულ თუშეთში, სადაც ყველისა და ერბოს კეთების ტეხნიკა ხის მრგვალ სადღვებელ როფს და ცხვრის ან თხის ბანლიან გუდას არ გასცილებია. ამ ადგილებში გაუმჯობესებულ მანქანების — ცენტრიფუგებისა და სეპარატორების დატრიალება ძირიან-ფესვიანად შესცვლის სარძეო მრეწველობის საქმეს. ახალის ტეხნიკის წყალობით ის აუარებელი ცხვრისა და თხის ყველი, რომლის მყიდველ-მხმარებელი დღეს მხოლოდ კავკასიის მკვიდრია, — ევროპიულ გემოზედ გადამუშავდება და თუ დღეს იგი თუშურ ბანლიან ყველის და მეგრულ სულგუნის სახით ორ ზღვათა შუა ბაზრებს ვერ გასცილებია, ამგვარის ტეხნიკის შემდეგ შესანიშნავ „კავკასიურ-შვეიცარიულ" ყველის ბაზარს მოიპოვებს.

დასასრულ მოვიყვანთ ბ-ნ რადცეგის წიგნიდგან ცნობებს კავკასიის მსხვილი პირუტყვის შესახებ 1898 წლისას გუბერნიებად.

| გუბერნიები და ოლქები | მცხოვ. რიც. | მსხ. პირ. რიც. | 100 სულზედ პირუტყვი მოდის |
|---|---|---|---|
| დაღეს. ოლ. | 587 000 | 398.000 | 53 |
| განჯის გუბ. | 872.000 | 355.000 | 41 |
| ყარს. ოლქი | 292.000 | 225.000 | 77 |
| ყუბ. ოლქი | 1.923.000 | 1.480.000 | 77 |
| ქუთ. გუბ. | 1.076.000 | 350.000 | 32 |
| სტავრ. გუბ. | 876.000 | 740.000 | 84 |
| ტერს. ოლქ. | 933.000 | 900.000 | 96 |
| ტფილ. გუბ. | 1.041.000 | 400.000 | 38 |
| ერევ. გუბ. | 805.000 | ? | ? |
| ბაქოს გუბ. | 790.000 | 192.000 | 24 [2]) |
| სულ | 9.249.000 | 4.590.000 | |

ეს ცხრილი გვაჩვენებს, რომ ბაქოს გუბ. შემდეგ, სადაც პირუტყვის საკვებ ბალახის ზრდას ბუნებაც არ უწყობს ხელს, ქუთაისის გუბერნიაში მკვიდრზედ გაცილებით ნაკლები რიცხვი მოდის მსხვილ პირუტყვისა, რაც, როგორც ვთქვით, მიწების სივიწროვით აიხსნება. ამ მხრივ აქაური მკვიდრი ისე შევიწროებულია, რომ თავისს აუცილებლად საჭირო ორ თავ პირუტყვს — ხარს ხელზედ აბალახებს ეზოებსა და ყანებში და ჯოგების ყოლა ხომ იშვიათი შემთხვევაა, განსაკუთრებით ბარად. მიწების გაუმჯობესობაც ძალიან უშლის ხელს პირუტყვის მოშენებას და ამის გამო ამტყდარ საჩივრებით ხომ სავსეა კავკასიის სასამართლოები. საბალახოების საქმე კავკასიაში ისე არეულია, რომ 1884 წლის 29 ივნისის კანონ-მდებლობას დიდი არაფერი შეუმატებია მის განწეს-რიგებისათვის. ბ-ნ ა. ნატროშვილის სიტყვით [3]), შირაქის საძოვარი მინდვრები ისე უთანასწოროდ არის განაწილებული, რომ ბევრს იმდენი მიწა რგებია, რომ სხვებს აძლევს იჯარით, და ზოგს-კი, სრულიადაც არა ჰყოფნის საძოვრად. ამის გამოვე, ამბობს ბ-ნი ნატროშვილი, ჯოგი ხშირად იღუპება უსაკვებოდ. მისის ანგარიშით, შირაქის მინდვრებზედ 1892 წელს $^2/_3$ პირუტყვი დაღუპულა.

ის. კვიცარიძე

[1]) О молочномъ хоз. въ Кутаисской губ. (იხ. იქ. გვ. 150—51).

[2]) იხ. გვ. 88, სქემა მე-XIII-ე.

[3]) Вопросы Кав. молоч. хоз., გვ. 42.

იქმნა 12 კაცი, ხოლო დაშავდა 100-ზედ მეტი.

მაგრამ გუშინ 12 ოქტომბერს ავსტრიის პარლამენტში მომხდარმა ამბავმა გადააჭარბა. ამ დღეს ჩეხებმა განაგრძეს სცემეს შიგ პარლამენტში სჯულის საქმეთა მინისტრს კინდინგერს, რომელმაც განკარგულება მოახდინა მორავიასა და ბოჰემიის სასამართლოებში ჩეხურის ენის ნაცვლად ნემეცური იხმარონ. კრების დროს, როდესაც ერთი ჩეხელი დეპუტატი შეეკითხა იმის გამო სამინისტროს, სხვა ჩეხელი დეპუტატები ფეხზედ წამოხტნენ და ყვირილით მისცვივდნენ კინდინგერს. ზოგმა ლანძღვა დაუწყო, ზოგმა მუშტი მოუღერა, ზოგმა კიდევ წამოავლო ქაღალდებს ხელი და მინისტრს სროლა დაუწყო. ამავე დროს ნემეცი დეპუტატები ტაშს უკრავდნენ მინისტრს. თავმჯდომარემ რომ ვერაფერი გააწყო, კრება დახურა და გარეთ გავარდა. საწყალ კინდინგერს ნემეცები შემოეხვივნენ და როგორც იყო გადაარჩინეს ჩეხელების მუშტებისაგან. ერთის სიტყვით, ავსტრიის პარლამენტში ისეთივე ამბები იწყობა, როგორიც ამ ორის წლის წინად მოხდა; მხოლოდ ეხლა როლები შეიცვალა: მაშინ ნემეცები იყვნენ უკმაყოფილონი, ეხლა კი ჩეხები არიან.

## დამახსოვრდა

ქვეყანა კანს იცვლის, ბუნება—სახნახაოს, მამაკაცი—აზრსა და რწმენას, დედა-კაცი—მორთულობასა და საყვარლებს, ხოლო ყველა მათგანი კი ბოლოს ისევ იმად რჩება, რაც არის.

ლ. ნარიშკინი

***

ვისაც არ ურწმუნია და არ ჰყვარებია, იგი ვერასოდეს იგრძნობდა ბედნიერებას.

ბ. დ—შვილი

***

ვინც სიკვდილის დროს უკან რჩება, მებრძოლი არ არის, თუნდაც იყოს მხედარი, შეჭურვილი თავით ფეხამდე.

ქსენოფონტე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რედაქტორები და გამომცემელნი ინგლისურის გაზეთებისა ომის წყალობით ათას რასმეს იგონებენ, რომ თავიანთ გაზეთებს უფრო მეტი მუშტარი მოუპოვონ. გაზეთ „Daily Mail“-ს, მაგალითად, მთელი მატარებელი შეუძენია, რომლისათვისაც სახელად „ომის მატარებელი“ დაურქმევია. ეს მატარებელი ყოველ დღე დილით ადრე ლონდონიდგან პროვინციაში გადის და თან მიაქვს რამდენიმე ასი ათასი ეგზემპლიარი დაბეჭდილ გაზეთისა, ასე რომ პროვინციის მკითხველებს საშვალება ეძლევათ ლონდონელებთან ერთად წაიკითხონ გაზეთში ახალ-ახალი ამბები, ბრძოლის ველიდგან მოსული. რედაქციამ ამ საქმეს პატრიოტული ხასიათი მისცა და თავისს მკითხველთ შორის შემდეგის შინაარსის განცხადება გაავრცელა: „ვინაიდგან ყველა ის, რაც სამხრეთ აფრიკაში ხდება, მკითხველთათვის მეტად საინტერესო და საყურადღებოა, გაზეთმა „Daily Mail“-მა არავითარ ხარჯს ყურადღება არ მიაქცია და დაიქირავა განსაკუთრებითი მატარებელი, რომელიც ყოველ დღე, დილა ადრიან პროვინციისათვის ახალ-ახალ ამბებს მიუტანს თავის მკითხველებს. მატარებელი შემდეგ დღეს დილით დაბრუნდება თვით ლონდონში. თუ მატარებელი ადგილზე ვერ მოესწრება, გამოცემული იქნება ერთი ან ორი ეგზემპლიარი დამატებით. მკითხველებს ჩვენის გაზეთისა სთხოვთ ამ საქმეში დახმარებას და გაზეთის გავრცელებას“.

***

როგორც ნორვეგიული გაზეთები იუწყებიან, ნორვეგიის ერთს მაზრაში, სახელდობრ ტრონდიემში ამას წინად დიდი უბედურება მომხდარა. ეს მაზრა ზღვის ნაპირას მდებარეობს და მცხოვრებლების ერთად ერთ სახსარს ცხოვრებისას მეთევზეობა შეადგენს. თევზს უმთავრესად შემოდგომაზედ იჭერენ, რადგანაც ამ დროს აუარებელი თევზი აწყდება ნაპირს. თავიანთი პატარა ნავებით ნორვეგიელნი ზღვაში შედიან და თევზაობენ. შემოდგომაზედ ძნელად მოიპოვება ამ მაზრის ისეთი მცხოვრები, რომელიც ნავით ზღვაში არ დაცურავდეს და თევზს არ იჭერდეს. ეს ხელობა იქ მეტად ძნელი და სახიფათოა: ქარი და ღელვა ხშირია, ამიტომ ბევრი მეთევზე იღუპება ხოლმე. მაგრამ ისეთი უბედურება, როგორც წელს, ნორვეგიაში ჯერ არ მომხდარა. პარასკევ ღამეს, სალამოთი ზღვის ნაპირას მდებარე სოფლიდგან 150-ზედ მეტი მეთევზის გემი გასულა ზღვაში. პირველ ხანს ამინდი სამაგალითო იყო თურმე; მხოლოდ ნელი ნიავი უბერავდა. ნაშუაღამევის პირველ საათზედ, როდესაც მენავეები ნაპირიდგან 5—6 ვერსის სიშორეზედ იყვნენ, საოცარი ქარი ამოვარდნილა, იმავე წუთს ცა საშინლად ჩამობნელებულა და უზარ-მაზარ ტალღების გრგვინვას ღამის სიჩუმე დაურღვევია.... მეორე დღეს, შაბათს დილით, ნაპირის მახლობლად ზღვა სავსე იყო თურმე ნავების ნამტვრევებით, იალქნებით, ბადეებით, დახოცილი მეთევზეთა გვამებით. დაიღუპა ამ ღამეს 250 კაცზედ მეტი და მათ შორის ყველა მამაკაცნი ერთ მახლობლად მდებარე კუნძულისა. ამ კუნძულზედ სულ 30 კომლი მცხოვრები იყო. დღეს კი იქ აღარც ერთი მამა-კაცი აღარ მოიპოვება. უპატრონოდ დარჩა იქ 28 ქვრივი და 50 ბავშვი. ამ ამბავმა მთელი ნორვეგია ფეხზედ დააყენა. ყველანი შემოწირულების შეკრებას შეუდგნენ დაღუპულ ოჯახთა სასარგებლოდ. მთავრობამ ამისათვის 20,000 კრონი გადასდო, მეფე ოსკარმა თავისს ქონებიდგან 5,000 კრონი შესწირა, ხოლო გაზეთებმა ჯერ-ჯერობით 40,000 კრონამდე შეაგროვეს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ოქტომბერი

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ სტუდენტების კომიტეტი ადგენს თავისუფალ ჯარის კაცთა რაზმს ტრანსვაალისათვის.

**ლედი-სმიტი.** ღამით უაიტი ინგლისის ყველა ჯარებით თავს დაესხა მტერს და უკუაქცია იგი რამდენიმე მილის მანძილზედ; მაგრამ ვერ მიაღწია მტრის ბანაკამდე და უკან დაბრუნდა.

**ლონდონი.** „Times“-ს ლედი-სმიტიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ მთელი ჯარის სურსათი დურბანიდგან პიტერმარიცბურგამდე ბურებმა მოიტაცეს.

**ლონდონი.** გენერალის უაიტის ოფიციალურ დეპეშაში ნათქვამია: „დღეს ომი გვქონდა ბურებთან, მგონი, ჟუბერის ჯართან. ხანგრძლივის ომის შემდეგ ბურები უკუიქცნენ; მტრის ზარალი მეტია. მტერმა მეტი ჯარი გამოიყვანა წინანდელზედ; მისი არტილერია ადრინდელზედ უკეთესია“.

**ბერლინი.** გუშინდელ გაზეთებში ლედი-სმიტიდგან დეპეშით იუწყებიან: „გლენკედგან უკან დახევის დროს გენერალმა იულმა დასტოვა მთელი ეტლი სურსათით, თოფ-ზარბაზნებით. ჯარის-კაცები აქეთ-იქით ისროდნენ თავიანთ მოწყობილობას. უკან ჩამორჩენილები ასობით დაატყვევეს ბურებმა.

**ლონდონი.** გენერალი უაიტი სამხედრო სამინისტროს დეპეშით აუწყებს ლედი-სმიტიდგან, რომ მის-მიერ სერზედ ადგილის დასაჭერად გაგზავნილი ჯარი შესამჩნევად დაზარალების შემდეგ იძულებული შეიქმნა იარაღი დაეყარა. ტყვედ წაყვანილი ჯარი შესდგებოდა 42 აფიცერისა და 2000-მდე ჯარის-კაცისაგან. უაიტი დასძენს: „მხოლოდ მე ვარ პასუხის მგებელი. ადგილ-მდებარეობა ისეთი იყო, რომ იქ გაჩერება არ შეიძლებოდაო“.

**კაპშტადტი.** ბერკი-უესტიდგან დეპეშა იუწყება, რომ ბურები გარს არტყიან კიმბერლეის ყუმბარების დასაშენად.

**ფრეიბურგი.** მრავალი აფრიკანდერი ბეჩუანში ამ ჟამად აშკარად უერთდება ბურებს.

**ლონდონი.** 19 ოქტომბერი. „Central News“-ი იუწყება, რომ 42 აფიცერმა და 2,000 ჯარის კაცმა იარაღი დაჰყარეს აუარებელ ჯართან ცხარე ომის შემდეგაო.

**ლონდონი.** 19 ოქტომბერი ლედი-სმიტთან ინგლისის ჯარის დამარცხებამ ლონდონსა და მთელ ინგლისში არა ჩვეულებრივი მღელვარება გამოიწვია. სამხედრო სამინისტრომ დეპეშით აუწყა ბულერს, რომელიც კაპშტადტში მოვიდა, რომ ათის დღის შემდეგ გამოგზავნილ იქმნება სამხრეთ აფრიკაში ჯარის შესავსებად კიდევ სამი ბატალიონი და ერთი სამთო ბატარეიაო.

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დესტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი გორემიკინი დათხოვნილ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდგან და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. თხოვნების მისაღებ კანცელარიის მთავარ მმართველი სიპიაგინი დანიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველად.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთები მწუხარებას აცხადებენ სამხრეთ აფრიკაში მომხდარ საშინელ უბედურების გამო. ამასთან ისინი იმედოვნებენ, რომ 2,000 კაცის დაკარგვა გავლენას ვერ იქონიებს ომის შედეგზედ. ინგლისელები აღვსილნი არიან იმ გარდაწყვეტილებით, რომ მათ, რადაც უნდა დაუჯდეთ, აღადგინონ თავიანთი უზენაესი უფლება.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთებში შემდეგი ამბავია-დ ბეჭდილი ლედი-სმიტიდგან: ორშაბათს სალამოს ბურებმა ხელმეორედ დაჰკირეს წინანდელი ადგილები და ხელახლავ სროლა ასტეხეს ქალაქზედ. მტერმა ისევ ალყა შემოარტყა ქალაქს. გუშინდელი მისი უკუქცევა მხოლოდ უბრალო ხრიკი იყო და ამით უაიტის შეტყუება უნდოდათ ბანაკიდგან სერზედ. საქმის ვითარება საშიშია.

**ლონდონი.** დილის გაზეთები თუმცა არა ჰფარავენ იმ უბედურების სიდიდეს, რომელიც ინგლისს ეწია, მაგრამ არა ჰკიცხავენ უაიტს, თანაგრძნობას უცხადებენ მას და ერს წინადადებას აძლევენ, დაამტკიცეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ უბედურება მამაცად და ღირსეულად აიტანოთო.


## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დაწყლოების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—34) ნ. წერეთელი

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
дла начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА

ფასი 50 კ. (15—13)


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ოქტომბრისათვის 1899 წლისა.

აქტივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 2352 | 92 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . . | 17110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 3099 | 25 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . . | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი . . . . . . . . . . . | 233345 | — |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | 736 | 57 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 405 | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 7586—42 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 16159—20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . . 30009—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3700—65 | 57455 | 77 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | 172 | 87 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . . | 1731 | 72 |
| XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | 1212 | — |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 222 | 29 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . . | 284 | 05 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 915 | 87 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . . | 8112 | 91 |
| ს უ ლ | 331927 | 85 |

პასსივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 756 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | 79441 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . . | 73 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 76425—64 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 152992—— | 229417 | 64 |
| გ) უვადოდ . . . . . . . . . —— | | |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2326 | 23 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 944 | 85 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . | 18 | 53 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . | 300 | — |
| IX. მიღებული სარგებელი. . . . . . . . | 14398 | 80 |
| X. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 1825 | 77 |
| XI. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი. | 40 | 71 |
| ს უ ლ | 331927 | 85 |
| პასუხის-მგებლობა 756 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 714969 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | 4400 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 1819 | 40 |

(1—6.—1)